საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მიმართვა ევროკომისიის პრეზიდენტს ურსულა ფონ დერ ლაიენს

უკრაინაში, რუსეთის მიერ გაჩაღებულმა, უსამართლო და დაუნდობელმა ომმა, ჩვენი საზოგადოება კიდევ ერთხელ დაარწმუნა ქართველი ხალხის მიერ არაერთგზის გამოხატული ნების სისწორეში, ევროპული არჩევანის შესახებ. ქართველების ევროპული არჩევანი არა მარტო დემოკრატია და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და სოციალური სამართლიანობა, ჯანსაღი გარემო და გენდერული თანასწორობაა, არამედ მშვიდობიანი თანაცხოვრებაა ცივილურ საზოგადოებებსა, თუ დემოკრატიულ სამყაროსთან.

აღმოსავლეთ ევროპის სამივე ქვეყანას, საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, რომელთა ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადები ერთდროულად გადაეცა ევროპულ მხარეს, სწორედ ცივილიზაციური, თავისუფლების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის გამო სჯის რუსეთის ხელისუფლება. სჯის ტერიტორიების ანექსიით, სამხედრო გადატრიალებით, თავხედური სამხედრო ინტერვენციებით, ეკონომიკური თუ ენერგეტიკული იარაღის გამოყენებით. რუსეთს მიაჩნია, რომ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მუდმივად მისი გავლენის ქვეშ უნდა იყვნენ, მეტიც რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საერთოდაც ეჭვისქვეშ აყენებს უკრაინისა და უკრაინელების, როგორც სუვერენული სახელმწიფოსა და ხალხის, არსებობას.

მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა თუ სხვადასხვა შეცდომებისა, სამივე ქვეყანამ, მნიშვნელოვანი რეფორმების გზით, სერიოზულ წარმატებას მიაღწია. ჩვენი ხალხებისთვის სტიმულის მომცემი არის ის, რომ საზოგადოებას ღრმად სწამს, რომ ჩვენ ევროპული ერები ვართ და ჩვენი ადგილი ევროპაშია.

ამჯერად ჩვენ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საქართველოს ეროვნულ პლატფორმაში გაერთიანებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოგიწოდებთ გადადგათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი ჩვენი მშვიდობის, დემოკრატიისა და სტაბილურ განვითარებაზე მიმართული აწმყოსა და მომავლის მხარდასაჭერად და მოგვანიჭეთ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. რაც იქნება ჩვენი ხალხებისთვის დიდი იმედი და განვითარებისკენ მიმართული ახალი და მძლავრი იმპულსი.

ხელმომწერი ორგანიზაციები:

1. ფონდი ლიბერალური აკადემია თბილისი
2. საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები საქართველო
3. ჟურნალისტიკის რესურს ცენტრი
4. საქართველოს ბიზნეს საკონსულტაციო ორგანიზაციების ასოციაცია
5. მერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
6. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველო
7. სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი“
8. სამცხე-ჯავახეთის რეგიონული ასოციაცია „ტოლერანტი“
9. საზოგადოებრივი დამცველი
10. საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება
11. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება
12. ადამიანის უფლებათა ცენტრი
13. ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო
14. სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
15. ახალგაზრდული ალტერნატივა
16. საერთო სამოქალაქო მოძრაობა ”მრავალეროვანი საქართველო”
17. კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
18. ფონდი ”სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი”
19. გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი
20. ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
21. ფონდი კავკასიის ეკოლოგია
22. ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი
23. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
24. ქალთა პოლიტიკური რესურს ცენტრი
25. ცენტრი ემპათია
26. ასოციაცია ელკანა
27. ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრი
28. გარემოსდაცვითი საერთაშორისო კვლევითი ცენტრი
29. კვლევების ტექნოლოგიების და ინოვაციების ხელშემწყობი საერთაშორისო ცენტრი.
30. ასოციაცია "მერკური"
31. დემოკრატიული ინიციატივების ცენტრი
32. მეწარმე ქალთა ფონდი
33. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
34. ფონდი ,,ადგილის დედა''
35. საქართველოს გეოსტრატეგიული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტი
36. „უფლებები საქართველო“
37. ენერგოეფექტურობის ცენტრი
38. თომას ჯეფერსონის კვლევითი ცენტრი
39. ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება“
40. სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბირო
41. ელექტრონული მმართველობა საქართველო

42. ასოციაცია ,,დეა"
43. ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტი
44. ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საერთაშორისო საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტი
45. ანალიტიკური ცენტრი მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
46. „ციხის საერთაშორისო რეფორმა“
47. ,,ახალი თაობა დემოკრატიული საქართველოსათვის”
48. მწვანე ალტერნატივა
49. ადამიანის უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია
50. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი
51. ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია
52. "საზოგადოებრივი განვითარების აკადემია"
53. საქართველოს საერთაშორისო განვითარების სააგენტო
54. ასოციაცია სკოლა-ოჯახი-საზოგადოება